

საქართველოს კულტურის,  
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის  
ბრძანება № 3/72

14. 04. 2008 წელი

ქ. თბილისი

ქ. ქუთაისში, ქალაქის ისტორიულ ნაწილში, არსებულ ცალკეულ ქუჩათა  
ქსელისათვის ისტორიისა და კულტურის უძრავი ძეგლის  
(ქალაქმშენებლობითი ძეგლის) სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა  
სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „კულტურული  
მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლისა და  
„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე,  
56-ე, 61-ე და 95-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად

ებრძანება:


1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი – ქალაქმშენებლობითი  
(ურბანული) ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების №1 დანართში მითითებულ ქ.  
ქუთაისის ისტორიული ნაწილის ქუჩათა ქსელს, მასზე განლაგებული შენობა-  
ნაგებობების გარეშე (№2 დანართში მითითებულ ფარგლებში).
2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს ამ ბრძანების  
ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, დანართში მითითებული ობიექტებისათვის  
ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ  
გვერდზე ასახვა.
3. ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო, წარმოადგინოს  
შესაბამისი დასკვნები ამ დანართში მითითებული ძეგლებისათვის კატეგორიის  
მინიჭების თაობაზე.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან  
ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე  
ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი დავით სარაჯიშვილის ქუჩა №1<sup>ა</sup>)

მინისტრი

ნ. ვაჩიშვილი

ქ. ქუთაისის ქუჩათა ქსელი:

1. ცისფერყანწველთა ქუჩა სრული ნუმერაციით;
2. აკაკი წერეთლის ქუჩა №1-დან №9-ის ჩათვლით;
3. შმ. ნინოს ქუჩა №1-დან №19-ის ჩათვლით;
4. ა. პუშკინის ქუჩა სრული ნუმერაციით;
5. შოთა რუსთაველის ქუჩა სრული ნუმერაციით;
6. ა. წულუკიძის ბაღი



— ქუჩათა ქსელი, რომელსაც ენიჭება ისტორიისა და კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი